MES 9 23 0001592651

22/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა
გულნარ ოთიაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
სსიპ- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა
რუსუდან მამულაშვილი-პაპუაშვილი - სკოლის დირექტორი;
სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა
კლიმენტი ტაბატაძე - სკოლის დირექტორი;
სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლა
მაია მეგრელი - სკოლის დირექტორი;
სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა
მედეა ქოქრაშვილი - სკოლის დირექტორი;
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა
ირმა კაპანაძე - სკოლის დირექტორი;
სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯარო სკოლა
ქეთევან ობოლაშვილი - სკოლის დირექტორი;
სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა
თამარ აბრამიშვილი - სკოლის დირექტორი;
სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა
ლიანა ქოჩიშვილი - სკოლის დირექტორი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა დუგლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო დუმბაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა
ა) თამარ ხეჩიკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ხათუნა დუგლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლა
ა) დავით ჩივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა სარალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლალი ნადირაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) სოფიკო სიუკაევა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩარკვიანი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სერგო დურგლიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლა
ა) მიხეილ ტეფნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა სარალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნელი ნაოჭაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირაკლი ტაბატაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა
ა) მიხეილ ტეფნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან სადრაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლა
ა) ნანა ედიშერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია კურტანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლა
ა) ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ტარიელ სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ელიზა ბაგალიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა
ა) ტარიელ სივსივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა კვირტია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა
ა)რუსუდან კეკელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ)ცისანა კობახიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ)ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ)ირაკლი ტაბატაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე)რუსუდან ნიპარიშვილი(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ)დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,წევრი);
ზ)ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ)მაია მენაბდე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი)ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის დასაწყისში, საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის გამო, საბჭოს სხდომას წარუძღვა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.
საბჭოს სხდომა 2023 წლის 08 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით, ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 18 ოქტომბრის N1399135 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა და საჭიროებდა გასწორებას. საბჭომ გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.,,სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1399135 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. ,,სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1399135 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა ,,სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1399135 გადაწყვეტილების სათაურში, პირველ, მეორე და მესამე პუქტებში, კონკრეტულად კი დაწესებულების სახელწოდებად მითითებული იყო სოფელ დაბა წაღვერი, მაშინ როდესაც უნდა ყოფილიყო დაბა წაღვერი. მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნული გადაწყვეტილების სათაურსა და ზემოხსენებულ პუნქტებში.
საბჭომ ერთხმად გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1399135 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 ოქტომბრის N1399135 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ“; ასევე პირველი, მეორე და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,1.სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლას (ს/კ: 226157379) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორცილების მიზნით;“, ,,2. სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლას მენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.“, ,,3. სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით;“.

2. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ივლისს.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 240 მოსწავლე.

ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, რაც დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე და მესამე სტანდარტი თავდაპირველად შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა განმარტა, რომ თითოეული სტანდარტის თითოეული კომპონენტი საბოლოოდ, სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე და იყო თუ არა ინკლუზიური გარემო შექმნილი. ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო ხელსაყრელი გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, თუმცა სკოლას არ ჰყავდა სსმ მოსწავლე.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძეს აღნიშნა, რომ სკოლის დოკუმენტაციის გაცნობით არ ვლინდებოდა თუ რამდენად ითვალისწინებდა სკოლა რისკებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას. საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ასევე განმარტა, რომ სკოლას გადასახედი ჰქონდა სვოტ ანალიზის საფუძველზე შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, ვინაიდან რისკები, რაც სკოლას ჰქონდა აღწერილი საჭიროებდა მეტ ანალიზს. საბჭოს წევრებმა სკოლას მისცეს რჩევა გადაეხედა აღნიშნული დოკუმენტაციისთვის.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლას (ს/კ : 232550780) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი თვალადი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი თვალადი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი თვალადი

16:35 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია და საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა.

3. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხეჩიკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 აგვისტოს.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 468 მოსწავლე.

ექსპერტმა, თამარ ხეჩიკაშვილმა აღნიშნა, რომ პირველი და მეოთხე სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა მემორანდუმი გაფორმებული ფრანგული ენის გაძლიერებულად სწავლების მიმართულებით და დაინტერესდა, თუ რატომ არ ჰქონდა გაცხადებული მისიასა და ხედვაში აღნიშნული, ვინაიდან ფრანგული ენის გაძლიერებულად სწავლების შესაძლებლობა საქართველოს მასშტაბით არ ჰქონდა ბევრს სკოლას.

სკოლის დირექტორმა, რუსუდან მამულაშვილ-პაპულაშვილმა განმარტა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა სამი უცხოური ენის სწავლება და სამომავლოდ იგეგმებოდა მისიის გადახედვა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა და სკოლას მისცა რჩევა, რომ ემუშავა საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტის ჩართულობით და ბრძანებები მოეყვანა წესრიგში. ასევე, სკოლას გადაეხედე შიდა სასკოლო დოკუმენტაციისთვის და მეტად მოერგო ინდივიდუალურად მათი სკოლის საჭიროებებს.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა იყენებდა თუ არა სკოლა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას და თუ იყენებდნენ, სკოლის საქმისწარმოების წესში აღნიშნული არ იყო მითითებული.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ისინი იყენებდნენ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას და გაითვალისწინებდნენ აღნიშნულს და შეიტანდნენ ცვლილებას სკოლის საქმისწარმოების წესში.

საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ სკოლას შესაბამისობაში ჰქონდა მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებასა და საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული სახელწოდებები.

საბჭოს წევრი თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა ჰყავდა თუ არა სკოლას ექიმი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ექიმის ვაკანსია თუმცა ექიმი ჯერ შერჩეული არ იყო.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი, ასევე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ დასკვნა ჯერ მოპოვებული არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 468 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს ერთი წევრი იყო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების წინააღმდეგი, იმ მიზეზით, რომ სკოლას არ ჰქონდა სკოლის შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლას (ს/კ : 227752624) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 468 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი გურჯაანი, თავისუფლების ქ. N20
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი გურჯაანი, თავისუფლების ქ. N20
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი გურჯაანი, თავისუფლების ქ. N20

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1, 2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), 3 და 4 სტანდარტები.

4. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ჩივაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 აგვისტოს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 18 მოსწავლე.
ექსპერტმა, დავით ჩივაძემ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე, კერძოდ კი სკოლაში ეწყობოდა მრავალფეროვანი შიდა სასკოლო ღონისძიებები და მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა კონკურსში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი, მეორე,მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, დავით ჩივაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
ვინაიდან წლის ბოლოს სკოლას ჰქონდა სოლიდური ნაშთი სკოლის ანგარიშზე, საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა რატომ ვერ ითვისებდა სკოლა ბიუჯეტს და რატომ არ მოდიოდა თანხვედრაში სკოლის სამოქმედო და ფინანსური გეგმები, მაშინ როდესაც სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ნაშთი გროვდება 2006-2007 წლებიდან, ხოლო სამოქმედო და ფინანსური გეგმა აუცილებლად გადაიხედებოდა.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა ვინ იღებდა პასუხისმგებლობას იმაზე, რომ გაწერილი სამოქმედო გეგმა შესრულდებოდა და განხორციელდებოდა ის ღონისძიებები, რაც სკოლას ჰქონდა დაგეგმილი.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი პირები ჯერ არ იყო განსაზღვრული.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, რომ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულიყო 60 მოსწავლე, ვინაიდან წარმოდგენილ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში მითითებული მოსწავლეთა რაოდენობა სკოლას ჰქონდა 18 მოსწავლე, ის რაოდენობა რაც იმ მომენტისთვის ირიცხებოდა სკოლაში. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ სკოლას ჰქონდა 60 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჩხეთურის საჯარო სკოლას (ს/კ : 215606609) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჩხეთური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჩხეთური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი**;**
მონიტორინგის ფარგლები: 1, 2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები),3 და 4 სტანდარტები.

5. სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი, ის თანამშრომლობდა სკოლასთან. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფელ რგანში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 150 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორ „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 1.2, 3.4 და 3.6 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა სკოლის ყველა მასწავლებელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში მუშაობდა ბევრი ახალი კადრი, რომელთა სამუშაო გარემოსთან მარტივ ადაპტაციას ხელს უწყობდნენ სკოლის გამოცდილი მასწავლებლები.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა სკოლის თანამშრომლობით სხვადასხვა ორგანიზაციებთან და სკოლის დირექტორს მიმართა თხოვნით, გაეზიარებინა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია. სკოლის დირექტორმა, მაია მეგრელმა აღნიშნა, რომ სკოლა თანამშრომლობდა "USAID"- თან, რომელთან თანამშრომლობითაც სკოლაში ჩამოყალიბებული იყო არაერთი კლუბი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროექტებში. ბოლო დროს მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს ერთ-ერთ კონკურსში, რომლის ფარგლებშიც მათ მოიპოვეს პრინტერი, კომპიუტერი და პროექტორი. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რამდენად იყო აღნიშნული თანამშრომლობა სასწავლო პროცესებზე ასახული. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებული კლუბები, როგორც სასწავლო პროცესებში, ისე მის მიღმა ძალიან აქტიურად ახორციელებდნენ მრავალფეროვან პროექტებს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა რამდენად ჰქონდა სკოლას მოცემული დროისთვის კურიკულუმების ნაწილში ის რჩევები გათვალისწინებული, რომლებიც მათ ექსპერტებისგან მიიღეს. სკოლის დირექტორმა, მაია მეგრელმა აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლების მხრიდან მოხდა ექსპერტების მხრიდან გაცემული რჩევების გათვალისწინება.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ ყურადღება გაამახვილა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში წარმოდგენილ კურიკულუმებზე და საგნობრივ ექსპერტს მიმართა თხოვნით გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნელი ნაოჭაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში იყო ახალი ლაბორატორია და სკოლას ჰყავდა ახალგაზრდა, აქტიური მასწავლებელი, რომელიც აძლევდა მოსწავლეებს შესაძლებლობას, თავად შეექმნათ სხვადასხვა რესურსი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მოხდა ლაბორატორიების დათვალიერება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში იყო მეგობრული და თანამშრომლობითი გარემო და ცხადი იყო, რომ მასწავლებლები ერთად მუშაობდნენ, როგორც კურიკულუმების შედგენისას, ისე პროექტების დაგეგმვის დროს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა სკოლას მისცა რჩევა დაეწყოთ სკოლის ვებ გვერდზე მუშაობა და განეთავსებინათ შესაბამისი რესურსები და მასალები.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანის საჯარო სკოლას (ს/კ : 215606468) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი რგანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი რგანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი რგანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).
საბჭომ 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ: შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, ვებ-გვერდის სრულყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

6. სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. ის თანამშრომლობდა სკოლასთან. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს

წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 06 და 07 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. N42-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1700 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მეგობრული და თანამშრომლობით გარემო. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში თვალშისაცემი იყო ეფექტური მენეჯმენტი და ფუნქცია- მოვალეობათა ეფექტური გადანაწილება. ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სკოლის თითოეული მასწავლებელი აქტიურად იყო ჩართული პროცესებში და კარგად იცნობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას.

ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელთან გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა კონდიტერისა და მზარეულის პროგრამებს. აღნიშნული კურსების განსახორციელებლად სკოლაში მოწყობილი იყო შესაბამისი სივრცე. ექსპერტის განცხადებით სკოლა უწყობდა ხელს სასწავლო პროცესებში მშობელთა აქტიურ ჩართულობას.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რას თვლიდა ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად, რომლის დაძლევაც სკოლას კიდევ უფრო წინ წასწევდა და განავითარებდა. სკოლის დირექტორმა, მედეა ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ წარმატებულ მოსწავლეებს განსაზღვრავენ წარმატებული მასწავლებლები, სწორედ ამ მიზნით ხდებოდა სკოლაში ციფრული მიმართულებით მასწავლებლების გადამზადება. ასევე, მშობელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, სკოლაში ხორციელდებოდა პროექტი „არა მხოლოდ მშობელი“, რომლის ფარგლებშიც მშობლები სურვილის შემთხვევაში, „კლასის საათის“ ფარგლებში სტუმრობენ მოსწავლეებს და უზიარებენ საკუთარ ცოდნას და პროფესიულ გამოცდილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ შენობა - ნაგებობის მდგრადობის დასკვნაზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რა პერსპექტივა არსებობდა იმის, რომ სკოლა ახალ მოთხოვნებთან და ნორმებთან ყოფილიყო შესაბამისობაში. სკოლის დირექტორმა მედეა ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა აშენებული იყო 1972 წელს და შესაბამისად, სკოლის შენობას ჰქონდა გარკვეული შეუსაბამობები ახალ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა პირველი- მეორე კატეგორიის დაზიანება, რაც არ იყო საფრთხის შემცველი. დირექტორის განცხადებით სკოლის მხრიდან მოცემული დროისთვის არსებობდა მიწერილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლას (ს/კ : 204863255) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N42
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N42
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N42

18:30 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა.

7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ საჩხერეში, თამარ მეფის ქ. N11-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 800 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3.4 და 3.5 კომპონენტები „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ნანა ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის შემადგენლობაში შედიოდა სამი ნაგებობა და მდებარეობდა 12 178 კვ.მ მიწის ფართობზე. შენობები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნიდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მოწესრიგებული შიდა და გარე ინფრასტრუქტურა. სკოლის ეზოში მდებარეობდა როსტომ წერეთლის სახელობის ჭადრაკის დიდი დაფა, სადაც ხორციელდებოდა შესაბამისი აქტივობები.
ექსპერტმა ნანა ედიშერაშვილმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში შეინიშნებოდა თანამშრომლობითი გარემო და დამკვიდრებული იყო დემოკრატიული მართვის მოდელი. ექსპერტის განცხადებით სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებდა რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული რესურსებით და ციფრული ტექნიკით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სოციალური დასაქმების პროგრამის სარგებელი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სკოლაში 9 ადამიანი იყო დასაქმებული სხვადასხვა პოზიციაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლაში არსებულ დახურულ დარბაზზე, რომელიც ჭარბი ტენიანობის გამო დაზიანებული იყო. სკოლის დირექტორმა, ირმა კაპანაძემ აღნიშნა, რომ სპორტულ დარბაზში ჭარბი ტენიანობა მიმდინარე წლის იანვრიდან შეინიშნებოდა. სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან, საიდანაც ზაფხულის პერიოდში სკოლაში იმყოფებოდა ორი ჯგუფი. ვიზიტის დროს

ექსპერტებმა დაათვალიერეს გარემო და მოცემული დროისთვის სკოლა ელოდებოდა შემდგომ რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლაში ადაპტირებულ გარემოზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, იმ შემთხვევაში თუ სკოლაში ვერ დამონტაჟდებოდა ლიფტი, იყო თუ არა შესაძლებელი სკოლა სრულად ადაპტირებული ყოფილიყო პანდუსების დახმარებით. სკოლის დირექტორმა ირმა კაპანაძემ აღნიშნა, რომ ზაფხულის პერიოდში მოხდა სკოლის დათვალიერება ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ. ექსპერტებისგან მიღებული ინფორმაციით სკოლაში უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენდა პანდუსების დამონტაჟება, ამიტომ დაგეგმილი იყო სკოლაში ლიფტის მონტაჟი და მეორე და მესამე სართულების სრულად ადაპტირება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კურიკულუმებთან დაკავშირებით ექსპერტს მიმართა კითხვით, იყო თუ არა აღნიშნული დოკუმენტაცია სრულყოფილი სახით წარმოდგენილი. ექსპერტმა ნანა ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს სრულყოფილად მიაწოდა ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო შეფასების ფორმებთან ერთად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეკატერინე გურგენაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილად შევსებული. ვიზიტის დროს სკოლამ ექსპერტების რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტაცია.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ჰყავდათ თუ არა სკოლას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი არ ჰყავდა.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი ასევე დაინტერესდა სკოლის მიერ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როდის ხდებოდა მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება, როდესაც მასწავლებელი იცვლიდა სტატუსს, თუ აღნიშნული დოკუმენტის გასაფორმებლად შერჩეული ჰქონდათ ერთი კონკრეტული დღე. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმება ხდებოდა, როგორც კონკრეტულ პერიოდში, ისე მასწავლებელთა სტატუსის ცვლილების დროს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის N1 საჯარო სკოლას (ს/კ : 239402927) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი საჩხერე, თამარ მეფის ქ. N11
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი საჩხერე, თამარ მეფის ქ. N11
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი საჩხერე, თამარ მეფის ქ. N11

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შენობა - ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, ასევე სკოლაში ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის, ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

8. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ინა ბიწაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხის საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.

ინა ბიწაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან ორივე კომპონენტი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად“ შესაბამისი; მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1, 3.2, 3.4 და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში დიდი ყურადღება ექცეოდა ინტეგრირებული პროექტებისა და გაკვეთილების ჩატარებას. ამ მხრივ საინტერესო იყო პროექტ გაკვეთილი ქართულში, ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში, რომელიც უკავშირდებოდა გენდერულ თანასწორობას. ასევე, სკოლას განხორციელებული ჰქონდა სხვა ინტეგრირებული გაკვეთილებიც. ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა სადაც ჩანდა, რომ დიდთოვლობის გამო სკოლის სახურავი იყო დაზიანებული, ასევე აღნიშნა, რომ სკოლა იყო ადაპტირებული, ჰქონდა კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შიდა და გარე სპორტული მოედანი. ექსპერტის განცხადებით რჩევები გაიცა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვასა და დაზიანებული სახურავის შეკეთებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

სკოლის დირექტორმა, ქეთევან ობოლაშვილმა საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებაზე, მათ შორის სკოლამ საკუთარი ძალებით, მიუხედავად სკოლის მცირე ბიუჯეტისა, უზრუნველყო დაზიანებული სახურავის დროებით შეკეთება, რის შემდეგაც ის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, თუმცა საჭიროებდა კაპიტალურ შეკეთებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის

შესაბამისად,სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეს საჯარო სკოლას (ს/კ: 222727967) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი მოხე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები.

9. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ტარიელ სივსივაძემ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 06 და 07 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი იმ მოტივით, რომ სკოლის შენობა მიღება-ჩაბარების აქტით გათვლილი იყო 150 მოსწავლეზე.

ტარიელ სივსივაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან ორივე კომპონენტი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად“ შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1, 3.2, 3.3, 3.4 და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე სტანდარტს, შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 4.2 შეფასებული იყო „მეტწილად შესაბამისად“. მეორე სტანდარტი კი ექსპერტთა მიერ შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“, ვინაიდან კომპონენტი 2.2 (სამივე საფეხურისთვის) შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით, რაც გამოწვეული იყო სკოლაში კომპიუტერული ლაბორატორიის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისა და ვერიფიკაციის ერთიანი მექანიზმის არ არსებობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას თვალსაჩინო მიღწევები გააჩნდა არაფორმალური განათლების მიმართულებით, კერძოდ, სკოლაში შექმნილი იყო სამოქალაქო განათლების კლუბი „განათლება მომავლისათვის“, რომელსაც აქტიურ მხარდაჭერას უწევდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. კლუბი აქტიურად იყო ჩართული საგრანტო პროექტებში, ჰქონდათ თემის და მოსწავლე-ახალგაზრდობის საჭიროებაზე მორგებული წარმატებული პროექტები. ერთ-ერთი ასეთი საგრანტო პროექტი იყო „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის მართვა ახალგაზრდებში“. პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება იმ პროფესიული პროგრამების შესახებ, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო რეგიონალური მასშტაბით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა გაიარეს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მართვის სასერთიფიკატო

კურსი, რის შედეგად სკოლის ბაზაზე შეიქმნა პროფესიული ორიენტაციის კონსულტირების სერვისი, რომელსაც სკოლის 3 მოსწავლე ხელმძღვანელობდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა სკოლას საჭირო რესურსი, რომ გაეთვალისწინებინა რეკომენდაციები და გამოესწორებინა ხარვეზები.
სკოლის დირექტორმა, თამარ აბრამიშვილმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა რესურსი, რომ გამოესწორებინა ხარვეზები და ასევე აღნიშნა, რომ ის იყო ახლად არჩეული დირექტორი, შესაბამისად საკმაოდ მოკლე პერიოდში სკოლამ უკვე უზრუნველყო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. ასევე მოხდა რეკომენდაციების შესწავლა და დაისახა პრიორიტეტები.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა, როგორ აპირებდა მეორე სტანდარტთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრას.
სკოლის დირექტორმა, თამარ აბრამიშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში უკვე შეიქმნა შიდა ხარისხის ჯგუფი, განისაზღვრა ფუნქციები და სკოლა გეგმავდა კურიკულუმების რევიზიასა და სრულყოფას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას (ს/კ: 222727985) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი,

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			სოფელი ბოლაჯური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოლაჯური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოლაჯური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მესამე და მეოთხე სტანდარტები.

10. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რუსუდან კეკელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ ატოცში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 90 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 90 მოსწავლისთვის.

რუსუდან კეკელიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4 და 3.6 კი შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა მდებარეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის გამყოფი ხაზის სიახლოვეს, თუმცა სასკოლო საზოგადოების ოპტიმიზმი, ორგანიზაციული და თანამშრომლობითი კულტურა თვალსაჩინო და მისაბაძი იყო. მნიშვნელოვანი იყო სასკოლო საზოგადოების ძალისხმევა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდაჭერის მიმართულებით. სკოლა საკმაოდ დაშორებული იყო მუნიციპალიტეტის ცენტრიდან, თუმცა სკოლასა და კოლეჯს შორის დადებული ხელშეკრულებით მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ კოლეჯ „განთიადის“ მომსახურებით და გაცნობოდნენ სტილისტის პროფესიას. სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას. ექსპერტმა ასევე წარმოადგინა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა რომ სკოლას არ ჰქონდა რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სააქტო დარბაზი და კვების ობიექტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა იყო თუ არა მზად სკოლა გაეთვალისწინებინა რეკომენდაციები და გამოესწორებინა ხარვეზები.

სკოლის დირექტორმა, ლიანა ქოჩიშვილმა განაცხადა, რომ სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა აქტიურად მუშაობა ხარვეზებთან დაკავშირებით. კერძოდ, უკვე ჰქონდათ მიწერილობა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას. ასევე, დირექტორის განცხადებით, სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი ფართი ექიმის კაბინეტისთვის, ამიტომ მიმართეს და მიიღეს დასტური სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან სამედიცინო კონტეინერის სკოლის ეზოში განთავსებასთან დაკავშირებით. ამჟამად სკოლა აწარმოებდა ბაზრის კვლევას, რათა მომხდარიყო შესაბამისი კომპანიის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფდა სკოლაში სამედიცინო კონტეინერის განთავსებას, დირექტორის განცხადებით სკოლა ასევე მუშაობდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლას (ს/კ: 240890988) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ატოცი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ატოცი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ატოცი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების ამოწურვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა